8315-გ-3-202310251204

N 8315-გ 25.10.2023

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: „ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ (I2Q)
განმახორციელებელი: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი, საქართველო
ტენდერის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: #IBRD/I2Q/CW/NCB/07-2023
კონტრაქტის დასახელება: ბათუმის N5 საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია
შერჩევის გამოყენების მეთოდი: ეროვნული საბაზრო მიდგომა
სამუშაოების ხანგრძლივობა: 15 (თხუთმეტი) თვე
შეფასების ვალუტა: ლარი
საკონტრაქტო ღირებულება: 10,664,649.00 ლარი

ტენდერში მონაწილე კომპანიები:

1. შპს „ქრიათივ იმფრეშენს კავკასუს“
2. სს ჰორასან თააჰჰუთ ვე ინშაათ
3. მეთაგ ინშაათ თიჯარეთი

გამარჯვებული კომპანია:

დასახელება: შპს „ქრიათივ იმფრეშენს კავკასუს“
მისამართი: საქართველო, ბათუმი, ზ. გორგილაძის ქუჩა, N91
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 9,902,400.00 ლარი
შეფასებული ფასი: 9,902,400.00 ლარი
საკონტრაქტო ფასი: 9,902,400.00 ლარი

შეფასებული კომპანია:
დასახელება: სს „ჰორასან თააჰჰუთ ვე ინშაათ”
მისამართი: ჩიღდემის უბანი 1593. ქუჩა, ოდთუ სითესი N:17, ჩანქაია, ანკარა
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 11,568,024.63 ლარი
შეფასებული ფასი: 11,568,024.63 ლარი

დისკვალიფიცირებული კომპანიები:

დასახელება: მეთაგ ინშაათ თიჯარეთი (Metag Insaat Ticaret A.S.)
ფაქტიური მისამართი: ქონუქენთის უბანი N3028.Cadde No.:6/29 ჩანქაია /ანკარა, თურქეთი
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: 9,546,330.90 ლარი
შეფასებული ფასი: 9,546,330.90 ლარი

დისკვალიფიკაციის მიზეზი: პრეტენდენტმა არ წარმოადგინა მოთხოვნილი დაზუსტებული დოკუმენტაცია. შესაბამისად, კომპანიამ ვერ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტის ნაწილი 1 – სატენდერო პროცედურები; თავი III - შეფასების და კვალიფიკაციის კრიტერიუმების 4.2 (ა), (ბ) და (გ) პუნქტები.

პროექტის მოკლე აღწერილობა:

პროექტი მოიცავს, ქ. ბათუმში #5 საჯარო სკოლის შენობის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. გათვალისწინებულია შენობის გადაგეგმარება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება 814 მოსწავლის განთავსება სკოლაში, ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა ადმინისტრაციული, ჰიგიენური, საერთო დანიშნულების ოთახების გამოყოფა. ყველა არსებული კედლები და იატაკები სრულად იქნება გასუფთავებული ძველი მოპირკეთებისგან და შეიცვლება ახლით პროექტის შესაბამისად. ასევე შეცვლას ექვემდებარება შენობის ფასადის მოპირკეთების ელემენტები, გადახურვის ბურული და წყალარინებითი ელემენტები პროექტის შესაბამისად. პროექტით გათვალისწინებულია ლიფტის მშენებლობა შენობის გარე ფასადზე, რაც უზრუნველყოფს შშმ პირთათვის ყველა სართულზე მისაწვდომობას. გათვალისწინებულია სკოლის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს განათების ბოძების, წყლის სოკოს, გამწვანების, ჩარდახების, სპორტული მოედნის რეაბილიტაციას. ასევე შეიცვლება ეზოში არსებული ასფალტის ბილიკები ახლით. დამონტაჟდება ბეტონის პანდუსები შშმ პირთათვის. პროექტით გათვალისწინებულია არსებული საქვაბე შენობის დემონტაჟი და ახალი საქვაბე შენობის აშენება.

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია